საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ 2025 წლის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2025 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში 2025 წლის 01 იანვრიდან 10 დეკემბრამდე სულ შემოსულია 29 განცხადება, რომელთაგანაც ყველა განცხადებაზე დასრულებულია საქმისწარმოება. შემოსული განცხადებებიდან ყველა მათგანი იყო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, შესაბამისად არცერთი განცხადება არ გადაგზავნილა კომპეტენტურ უწყებაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემა (emoh.moh.gov.ge), სადაც ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება და შენახვა. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება. ასევე, სამსახურში პერსონალური მონაცემები დაცულია მატერიალური სახით.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, დისციპლინური სახდელების დადებას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური ეყრდნობა შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად ხარჯები არ გაწეულა.

ბექა ფერაძე

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის
მთავარი შრომის ინსპექტორი